ელექტრონული ბიბლიოთეკა

ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

7 ივნისი. ხუთშაბათი, 1990 წ.
№ 106 (10 275) ● ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

# კადრები ეროვნული, საქმე ეროვნული...

ცხოვრება ბობოქრობს და... წინ მიდის. დადგება დრო, მისი ტალღები ნაპირზე გარიყავს ყველაფერს, რაც არც ბუნების კანონს ეთანხმება და არც კაცისას. ყველაფერი განახლდება, მათ შორის — უმაღლესი სკოლაც, რომელიც ისეთ დაკვეთას მიიღებს, როგორსაც ახალი ცხოვრება მოითხოვს. ხვალინდელი დღის გათვალისწინებით კადრების მომზადებაში, მათ შორის ფიზკულტურისა და სპორტის მაღალკვალიფიციური სპეციალისტების აღზრდაში, უკვე ამთავითვე შეაქვთ კორექტივები ჩვენს უმაღლეს სკოლებს და ეს სწორიცაა.

ყავლი გაუვიდა იმ დროს, როცა ყველაფერი ცენტრიდან, ზემოდან იგეგმებოდა, თანაც იგეგმებოდა ისე, რომ თუ სხვას არას ვიტყვით, მოკავშირე რესპუბლიკების ეროვნულ თავისებურებებსაც არ ითვალისწინებდნენ. ჩვენმა ფიზკულტურის ინსტიტუტმა კატეგორიულად უარყო ზემოდან კარნახით კადრების მომზადების პრინციპი. მისაღები კონტინგენტი, ცხადია, არც იზღუდება და არც იზრდება, მაგრამ დადგენილი რაოდენობით ჩვენთან უპირატესად იმ სპეციალობის კადრებს მოამზადებენ, რაც დღეს და ხვალ უფრო საჭიროა საქართველოსათვის, მისი სპორტული მოძრაობისა თუ მასობრივ-გამაჯანსაღებელი მუშაობისათვის. ეს კი ყველაზე უკეთ საქართველოს სპორტსახკომისა და თვით ინსტიტუტის მუშაკებმა იციან.

ათეული წლების მანძილზე სპორტის რომელ სახეობაში აღარ ვამზადებდით სპეციალისტებს, მათ შორის ისეთებშიც კი, რომლებიც ხეირიანად დანერგილიც არ იყო. ჩვენს ხალხში აღმოცენებული და ოდითგანვე რაინდობის სიმბოლოდ ქცეული ეროვნული და ხალხური თამაშები კი არავის ახსოვდა. ასეთი იყო ცენტრის მიერ მთელს ქვეყანაში გაბატონებული „ინტერნაციონალური სულისკვეთების" პოლიტიკა. ახლა საქმე იქით მიდის, რომ საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტში ახალი კონტინგენტის მიღებისას ჩვენს ეროვნულ სახეობებსაც გაითვალისწინებენ და ხალხურ თამაშებსაც, გაითვალისწინებენ იმასაც, ჩვენთვის არატრადიციულ სპორტის კლასიკურ სახეობებში უფრო გვჭირდება სპეციალისტები (რომლებიც შემდეგ იშვიათად თუ მუშაობენ განაწილებით), თუ მასობრივ ტურიზმში და მოსახლეობის გაჯანსაღების სფეროში.

მოკლედ რომ ვთქვათ, საქმე პრინციპულ ხასიათს იღებს და ჩანაფიქრის ასრულებას წინ ველარაფერი დაუდგება. ერთი კია, ეს პოზიცია ყველამ კარგად უნდა გაიგოს, თანაც ახლაც და მომავალშიც უნდა მივაღწიოთ იმას, რომ ფიზკულტურის ინსტიტუტის ყველა კურსდამთავრებულმა სპეციალობით იმუშაოს. ამისთვის, ცხადია, მათთვის, ეკონომიკური და სოციალური უზრუნველყოფის საკითხების მოგვარებაც იქნება საჭირო.

კიდევ ერთი: როგორც ფიზკულტურის ინსტიტუტის რექტორმა, პროფესორმა ომარ გოგიაშვილმა ამ დღეებში ერთ თათბირზე ხატოვნად თქვა: ჯობს რესპუბლიკაში ფიზკულტურულ-სპორტული მოძრაობის ჭეშმარიტი გულშემატკივრები ინსტიტუტს მისაღები გამოცდების დაწყების წინ კი არა, კადრების განაწილებისას აკითხავდნენო.

კადრები წყვეტენ ყველაფერს! ეს ძველი და ნაცნობი გამოთქმაა, მაგრამ მას არასდროს დაუკარგავს (და არც არასოდეს დაკარგავს) მნიშვნელობას. მთავარია, როგორია და ვისგან მოდის სოციალური დაკვეთა, რა ფუნქციას ვაკისრებთ სპეციალისტებს, რას ვემსახურებით, უფრო მთავარი კი ისაა, როგორ ვემსახურებით ეროვნულ საქმეს.

**დღეს მოჭადრაკე ვაჟთა მსოფლიო ელიტაში შესვლა ადვილი საქმე არ არის. ქართველთაგან პირველმა ეს შეძლო ზურაბ აზმაიფარაშვილმა**

# ვულოცავთ!



უკვე ცნობილია მოსკოვის ტურნირის ყველა ის მონაწილე, რომლებმაც 1991-1992 წლების მსოფლიო თასისათვის ბრძოლის უფლება მოიპოვეს. ამ პრესტიჟული ასპარეზობის ფინალში უბრძოლველად იყვნენ დაშვებული მსოფლიო თასის პირველი გათამაშების ჩრიზიორები — გარი კასპაროვი, ანატოლი კარპოვი, ვალერი სალოვი, იან ელვესტი (ყველა — სსრ კავშირი), ლიუბომირ ლიუბოევიჩი (იუგოსლავია) და ჯონ ნანი (დიდი ბრიტანეთი).

თორმეტი მონაწილე — ხუთი საბჭოთა და შვიდი უცხოელი მოჭადრაკე მოსკოვის ტურნირს უნდა დაესახელებინა და, როგორც ყოველთვის, საინტერესო და დაძაბული ბრძოლის ლაურეატები ბოლო, მეთერთმეტე ტურმა გაარკვია. ლიდერთა უმრავლესობას, ცხადია, მშვიდობიანი ფინიში აძლევდა ხელს და მათ ადვილად მიაღწიეს მიზანს. ზოგს კი საგზურის მოპოვება სწორედ ბოლო ტურში გამარჯვებით შეეძლო. მათთვის, ცხადია, ყველაზე მნიშვნელოვანი იყო ფინიში. ალექსანდრე ხალიფმანს, მაგალითად, ექვსი საათი დასჭირდა იმისთვის, რომ ამერიკელი ბორის გულკო დაემარცხებინა და საგზური მიეღო. ალექსანდრე ბელიავსკისაც ბედმა XI ტურში გაუღიმა, როცა სერგეი დოლმატოვს სძლია. ბულგარელმა კირილ გეორგიევმა იონ არნასონს (ისლანდია) მოუგო, იუგოსლაველმა პრედრაგ ნიკოლიჩმა — ლევ ფსახისს (ისრაელი).

ამ ტურნირის შედეგებმა საქართველოს ჭადრაკის მოყვარულებს დიდი სიხარული და მორალური კმაყოფილება მოუტანა. საქმე ის გახლავთ, რომ ქალთა ჭადრაკისგან განსხვავებით, ჩვენი ვაჟები საერთაშორისო წარმატებებით მაინც და მაინც არ გვანებივრებენ, მით უფრო, ასეთ პრესტიჟულ ტურნირში გამარჯვებით. არადა, თბილისელი დიდოსტატი ზურაბ აზმაიფარაშვილი, რომელიც მთელი შეჯიბრების მანძილზე ლიდერთა შორის იმყოფებოდა, ერთ-ერთი გამარჯვებულთაგანია. ვიმეორებთ, ასეთი წარმატებისთვის საქართველოს მოჭადრაკე ვაჟებს ადრე ჯერ არ მიუღწევიათ და ამდენად აზმაიფარაშვილის სტაბილური თამაში ქართველ გულშემატკივრებს დიდ იმედებს უნერგავს.

გთავაზობთ ტურნირის საბოლოო შედეგებს, უფრო სწორად, იმ თორმეტი მოჭადრაკის გვარს, რომლებმაც ფინალის საგზურები მოიპოვეს: ზურაბ აზმაიფარაშვილი, ევგენი ბარეევი, მიხეილ გურევიჩი (ყველა — სსრ კავშირი), ჯონათან სპილმენი (დიდი ბრიტანეთი) და ალექსანდრე ხალიფმანი — 7-7 ქულა თითოეულს, ალექსანდრე ბელიავსკი (სსრ კავშირი), ლაიოშ პორტიში (უნგრეთი) ნიკ დე ფერმიანი (აშშ), მიურეი ჩანდლერი (დიდი ბრიტანეთი) — 6,5-6,5 ქულა, კირილ გეორგიევი (ბულგარეთი), პრედრაგ ნიკოლიჩი (იუგოსლავია) და იასერ სეირავანი (აშშ) — 6-6 ქულა.

ს უ რ ა თ ზ ე: ზ. აზმაიფარაშვილი

# 7 ივნისი საქართველოში გამოცხადებულია გლოვის დღედ

1990 წლის 1 ივნისს თბილისში, რუსთაველის მოედან-მთაწმინდის ბაგირგზაზე ტრაგიკულად დაღუპულთა ხსოვნის პატივსაცემად, ფართო საზოგადოებრიობის სურვილებისა და თხოვნის შესაბამისად, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებით მიმდინარე წლის 7 ივნისი საქართველოში გამოცხადებულია გლოვის დღედ.

ამ დღეს რესპუბლიკის მთელ ტერიტორიაზე დაშვებული იქნება სახელმწიფო დროშები, გაუქმდება გასართობი ღონისძიებები, ტელევიზია და რადიო გადასცემენ შესაბამის პროგრამებს.

## ჟოაო ავილანჟი კვლავ აირჩიეს

**რომი, 6 ივნისი.** იტალიის დედაქალაქში გაიმართა ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციის 47-ე კონგრესი.

აირჩიეს ფიფა-ს პრეზიდენტი. 74 წლის ბრაზილიელი ჟოაო ავილანჟი მეხუთე ვადითაა არჩეული ამ საპატიო პოსტზე.

## „გელათის" წარმატება

**გაიმართა** პირველი ლიგის რაგბისტთა საკავშირო გათამაშების შეხვედრა.

წარმატებას მიაღწია ქუთაისის „გელათის" კოლექტივმა, რომელმაც ანგარიშით 22:0 დაამარცხა პენზის ვემ-ი.

## ტელეტაიპი – მკითხველი

**რომი.** პოპულარულ საერთაშორისო ველორბოლა „ჯირო დ' იტალიას" — 19 ეტაპის შემდეგ ლიდერმა ჯანი ბუნიომ (იტალია) კიდევ უფრო განიმტკიცა პოზიცია. ახლა იგი მეორე ადგილზე მყოფ ფრანგ შარლ მოტეს 6 წუთზე მეტს უგებს. ბუნიოს ჩემპიონის სახელი ფაქტიურად განაღდებული აქვს.

**ციურიხი.** ტყვიის მსროლელთა მსოფლიო თასის გათამაშებაში 21 წლის უნგრელმა სნაიპერმა ვარი ზოლტმა ახალი მსოფლიო რეკორდი დაამყარა. შაშხანის წოლელა სროლაში მან 702,8 ქულა მოაგროვა.

**მოსკოვი.** წყალში მხტომელთა საკავშირო ჩემპიონატზე კოშკიდან ხტომა ზაპოროჟიელმა სტუდენტმა, 20 წლის ინგა აფონინამ მოიგო. მანვე დაიმსახურა კეთილი ნების თამაშების ერთ-ერთი საგზური. მეორე საგზურისთვის იბრძვიან პერმელი ტატიანა ბირიუკოვა და მოსკოველი ელენა მიროშინა, რომლებმაც ამ ჩემპიონატში შესაბამისად მეორე და მესამე ადგილები დაიკავეს.

# ბარსელონა ახლო და შორეული

**ოლიმპიადებისათვის** მზადებას, საერთოდ, ოთხწლიანი ციკლი ეძლვნება ხოლმე, მაგრამ ამ პერიოდის ყველაზე ინტენსიური ნაწილი, ცხადია, ბოლო ერთ-ორ სეზონზე მოდის. თითქმის უკვე მიილია სეულის ოლიმპიადის შემდგომი ორი წელი და წინ ბარსელონის თამაშების დიდი სილუეტი გამოჩნდა.

**ახლა**, რასაკვირველია, ოლიმპიური პერსპექტივით განიხილება მნიშვნელოვან შეჯიბრებებში ჩვენი სპორტსმენების თითოეული გამოსვლა. საქართველოს სპორტსახკომში გადაწყვიტეს, რომ უკვე დროა, რეგულარული ხასიათი მიეცეს საკითხების სპეციალისტთა ფართო სამსჯავროზე გამოტანას და მათს დაწვრილებით გაანალიზებას მიმდინარე მუშაობის კიდევ უფრო დასაკონკრეტებლად.

და ეს ძიუდოდან დაიწყეს, ამის მიზეზი ცხადი უნდა იყოს: ჯერ ერთი, იგი ჩვენი წამყვანი სპორტის სახეობაა და მეორეც — სულ ახლახან დამთავრდა ევროპის ჩემპიონატი, რომლის შედეგები, მართლაც, მოი-

იხ. მე.2 გვ.



**როგორც** ვიუწყებოდით, აპრილის ბოლოს ჰოლანდიაში ჩავიდა საქართველოს ცხენოსანთა დიდი ჯგუფი. ამ ღონისძიების ორგანიზატორები იყვნენ ფირმა „იბერია-89" და ფრანგულ-ქართული ერთობლივი ფირმა „არის-თბილისი". მოგზაურობაში ბევრი რამ მოხდა ისეთი, რამაც ჩრდილი მიაყენა საქართველოს წარმომადგენელთა თავმოყვარეობას, ზოგიერთ მათგანზე ვწერდით და ალბათ კიდევ დავწერთ. მაგრამ არც იმ ხიკეთის მიჩქმალვას ვაპირებთ, რაც ქართველი მხედრების გამოსვლას მოჰყვა უცხოეთში. როგორც დაგპირდით, დღეს გთავაზობთ დელეგაციის ერთ-ერთი წევრის, ჟურნალისტ ზ. ხორავას წერილს და ფოტორეპორტაჟს. (იხ. მე-2 გვ.).

# დიახ, საქმიანი საუბარიც საქმეა

**ამ** დღეებში საქართველოს სახალხო განათლების სამინისტროს ფიზიკური აღზრდის და სპორტის სამმართველოში ჩატარდა გაფართოებული სხდომა, რომელიც მიეძღვნა საქართველოს ნაკრები გუნდების მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადისათვის მზადებას. გაიმართა საქმიანი საუბარი იმ პრობლემებზე, რაც სპორტის ცალკეულ სახეობებში, მწვრთნელთა მუშაობაში და თავად სპორტსმენთა მზადებაში შეიმჩნევა, აგრეთვე ბაზების დღევანდელ მდგომარეობაზე და სხვა საჭირბოროტო საკითხებზე.

არც ერთი კონკრეტული პრობლემა არ დარჩენილა განუხილავი და უპასუხო. ამდენად, ამ შეხვედრამ საქმეს გარკვეული სარგებლობა მოუტანა.

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ქართველი მხედრები ჰოლანდიაში

**„პარიზის გავლით ჰოლანდიაში“ — „ლელოს“ 28 თებერვლის ნომერში ამ სათაურით გამოქვეყნებულ წერილში მკითხველს ეუწყა, რომ აპრილის დამლევს ქართული მხედრიონი მონაწილეობას მიიღებდა ნიდერლანდების ეროვნულ ზეიმზე დედოფლის დაბადების დღესასწაულზე.**

## „იკარუსებით“ დასავლეთ ევროპაში

21 აპრილს ქართველთა 130 კაციანი ჯგუფი ძირითადად ცხენოსნები „ქართული ფილმის“ კასკადიორები, ქართული ცირკის მხახიობები, მოცეკვავეები და მომღერლები ჩარტერული რეისით თბილისიდან ლვოვში გავემგზავრეთ. აქედან ბრესტის გავლით „სოვტრანსავტოს“ სამი „იკარუსით“ დასავლეთ ევროპისკენ — ჰოლანდიისაკენ ავიღეთ კურსი. თითქმის ნახევარი ევროპა უნდა გადაგვეკვეთა — 2500 კმ.

23 აპრილს ჩავედით ჰოლანდიის ქალაქ ოლდენზაალში. თითქმის რვა ათეული წელია, რაც ქართველი ცხენოსნები აღარ შეხმიანებიან ევროპას. ახლა ამ კარგი ღონისძიების მოთავენი იყვნენ ერთის მხრივ თბილისის საწარმოო დანერგვითი ცენტრი „იბერია-89“, ხოლო მეორეს მხრივ ფრანგული ფირმა „არის-ნინო“, რომელსაც პარიზში განაგებს ჩვენი თანამემამულე შალვა თაყაიშვილი. იგი ამავე დროს, კალისტრატე სალიას ფონდის პრეზიდენტიცაა.

ჰულს ბეკის ტყე-პარკის ტერიტორიაზე მდებარე იპოდრომზე (იპოდრომი პირობით შეიძლება ვუწოდოთ ამ ვეებერთელა მინდორს) საჭირო ინვენტარი სულ რამოდენიმე საათში დამონტაჟდა. უკვე ბანაკი გაეშალა ჩვენზე წინ ჩამოსულ ჯგუფს, რომელმაც თბილისიდან — ოლდენზაალში 64 ცხენი ჩაიყვანა ერთ-ერთი ჰოლანდიური ფირმის საგანგებო მანქანებით. ბანაკის თავზე ფრიალებდა ჩვენი სამფეროვანი ეროვნული დროშა.

## უდედოფლო ზეიმი

ჰოლანდიელები თავის ეროვნულ დღესასწაულს დედოფლის დაბადების დღეს 30 აპრილს აღნიშნავენ. თუმცა ზეიმი 28 აპრილიდან იწყება, მის ორგანიზატორთა თხოვნით ჩატარდა ჩვენი 130 კაციანი ჯგუფის სარეკლამო საზეიმო სვლა ოლდენზაალის ცენტრალურ მოედანზე და ქუჩებში. სანახაობა ერთობ მიმზიდველი და ეგზოტიკური გამოდგა. საზეიმო განწყობა სუფევდა ქალაქის მუნიციპალიტეტში გამართულ ოფიციალურ მიღებაზე. ზეიმი 28 აპრილს დაიწყო. მეორე დილით გაოცებულნი დავრჩით, ცარიელ მინდორზე, სადაც ჩვენი ბანაკის მეტი არაფერი იყო, ერთ ღამეში მთელი ქალაქი გაეშენებინათ. ქალაქი — რესტორნებით, ბარებით, სავაჭრო ფარდულებით, ეტლებით, ცხენის მოკაზმულობით. ფერმერებს საჩვენებლად საოცრად მოვლილი ცხვარ-ძროხაც კი გამოეყვანათ, თვალს იზიდავდა სარეკლამო ფარები, უკრავდა მუსიკა, ზეიმზე ევროპის მრავალი ქვეყნიდან ჩამოვიდნენ. ერთი სიტყვით, ყველაფერი იყო, ოღონდ აქ არ იყო თვით... დედოფალი.

## სენაკი — ჩოხატაური

ცოდვა გამხელილი სჯობს, რაღა დაგიმალოთ და, კარგა ხანს არც მე ვიჯერებდი, რომ მსოფლიოში კი არა, მაინც და მაინც არც ევროპაში გვიცნობენ ქართველებს. ჯირჯიენს რომ გაიგებს ჰოლანდიელი, იქვე მოაყოლებს რაშენს. და აი, ასეთ სიტუაციაში ზღვა ხალხით გაჭედილ იპოდრომზე დიქტორი რომ გამოგიცხადებს ერთმანეთის პირისპირ სენაკისა და ჩოხატაურის გუნდები წარსდგებიანო — აქ ამ შორეულ ჰოლანდიაში არ შეიძლება გულმა რეჩხი არ გიყოს. არადა, თითქმის ყველა ქართველი არტისტული ბუნებისაა. ჩვენი გურული და მეგრელი მხედრებიც ისეთი მოხდენილი ჰენებით შემოვიდნენ იპოდრომზე, ავ თვალს არ დაენახვებოდნენ. თამაში მეტად მძაფრად და აზარტულად წარიმართა. არც ერთი მხარე არ ზოგავდა ძალებს, უკლებლივ ყველას გულში პატარა საქართველოს ცეცხლი გიზგიზებდა და თავდავიწყებით თამაშობდნენ, გაოცდნენ, გაყუჩდნენ ერთხანს ჰოლანდიელები და ამ ზომიერმა ხალხმა უეცრად სიხარულის ყიჟინა დასცა. დასცა და კიდევ ორ დღეს არ დამცხრალა ტაში, აღტაცებული შეძახილები, ქართველმა მოჯირითეებმა საბოლოოდ „გაანადგურეს“ ჰოლანდიური თავშეკავება, მთლიანად დაიპყრეს მათი გულები. ქართველ მხედართა სიჩაუქით მოხიბლული მაყურებელი ემოციებს ვერ იოკებდა. ამან უფრო გაახელა, გაამხნევა ცხენიცა და მხედარიც. სიმამაცის ზღვარს გადაცილებულ, ერთიმეორეზე სახიფათო და ვირტუოზულ ილეთებს ასრულებდნენ ბიჭები. მათ ტოლს არ უდებდნენ ნანა მელქაძის მოჯირითე გოგონები. ცხენოსნობის ცეცხლით დანთებულ ტემპს არ აგდებდნენ ჩვენი მოცეკვავეები და მომღერლები. ერთი სიტყვით, ეს ნამდვილი ქართული სპორტულ-კულტურული შოუ გახლდათ, აკი ასეც იყო რეკლამირებული „ჯორჯიენ შოუ“.

ზეიმის ბოლო დღეს მოეწყო საქართველოდან ჩამოყვანილი ცხენების აუქციონი, რომელმაც საკმაოდ დიდი გამოხმაურება ჰპოვა. მრავალი ქვეყნის წარმომადგენელი ესტუმრა ამ დღეს ჰულსბეკის იპოდრომს. ყველაზე მაღალ ფასში 58000 გულდენად გაიყიდა შავი არაბული ცხენი „ნაედაკი“.

ქართველთათვის ჰოლანდიაში კუნძულ ტექსელზე წმინდა ადგილია ძმათა სასაფლაო, მეორე მსოფლიო ომში ამბოხებულ ქართველთა სამუდამო სასუფეველი. სამშობლოში ისე ვერ დავბრუნდებოდით, მათ სამარესთან რომ მუხლი არ მოგვეყარა, მით უმეტეს, ჩვენს გვერდით იყო ზუგდიდელი პოკრო გახარია — ამ აჯანყების მონაწილე. ტექსელზე უკვე გველოდნენ. თვალცრემლიანმა ბატონმა პოკრომ თან წამოღებული ქართული მიწა მოაყარა ძმათა საფლავებს, სანთლებიც დავანთეთ და შავი ქართული ღვინითაც ვუთხარით შენდობა, ჩვენი სამფეროვანი დროშაც აღვმართეთ და ჩვენმა მომღერლებმა საგალობელიც შეასრულეს.

**ზურაბ ხორავა.**

ავტორის ფოტოები.







# ბარსელონა ახლო და შორეული

(დასასრული)

თხოვს საგანგებო ანალიზს; ამ მიზნით შეიკრიბნენ საქართველოს სპორტსახკომში მისი ხელმძღვანელები, სპორტსაზოგადოებათა მესვეურები, სპეციალისტები.

როგორც უკვე იცით, გფრ-ში გამართულ ევროპის ჩემპიონატში ხუთი ქართველი ფალავანი ასპარეზობდა, სამმა მათგანმა (ტოტიკაშვილი, კურტანიძე, ხახალეიშვილი) ბრინჯაოს მედლები მოიპოვა, თუმცა მათი პოტენცია, ამაში ყველა დაგვეთანხმება, აშკარად უფრო დიდია და სპეციალისტებმაც ამაზე გაამახვილეს ყურადღება.

საქართველოს ნაკრების უფროსმა მწვრთნელმა შოთა ხაბარელმა მოკლედ აღნუსხა ის წარმატებები, რომელსაც ამ ბოლო პერიოდში მიაღწიეს ჩვენმა ძიუდოისტებმა. შეფასება სამართლიანი იყო: მათ გასულ საკავშირო ჩემპიონატში 16 მედალი მოიპოვეს (4 ოქროს, 3 ვერცხლის და 6 ბრინჯაოსი). ევროპის ჩემპიონატზე დაიმსახურეს ორი პირველი და ერთი მესამე ადგილი და, რაც მთავარია, ტრიუმფალურად იასპარეზეს მსოფლიო ჩემპიონატზე, სადაც ორი ოქროს, თითო-თითო ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლით დაჯილდოვდნენ.

ოლიმპიური ჩემპიონის აზრით, გარკვეული უკან დახევა, რაც ჩვენმა მოჭიდავეებმა ევროპის ჩემპიონატზე განიცადეს, გამოწვეულია მათი გადაღლით. ხაბარელის შეფასებით, სამი დიდი შეკრება საერთოფიზიკური მომზადების ასამაღლებლად მეტისმეტად მძიმე დატვირთვა აღმოჩნდა ჩვენი ხუთეულისათვის, ხოლო მისი წინადადება ნაწილობრივ შეემცირებინათ საწვრთნელი გეგმა, საკავშირო ნაკრებში არ გაიზიარეს, იგივე დაადასტურა ჩვენი გუნდის ექიმმაც.

შოთა ხაბარელი ახალგაზრდა, მაგრამ უკვე გამოცდილი, ძიუდოს სამყაროში ავტორიტეტმოხვეჭილი სპეციალისტია (რაც აღნიშნეს კიდეც შეკრებაზეც) და მის კონკრეტულ შეფასებას უნდა ვენდოთ. მაგრამ ხელმძღვანელებმა და სპეციალისტებმა აღნიშნული შეჯიბრება საკითხთა უფრო ფართო სპექტრით მიმოიხილეს.

რა თქმა უნდა, არავის აუტეხია განგაში ევროპის ჩემპიონატის შედეგებზე. ყველასთვის ისედაც ნათელია, რომ ჩვენი ძიუდოისტების პოზიციას, შესამჩნევად მაინც, საფუძველი არ შერყევია და თან მტკიცე ოპტიმიზმის საფუძველს დიდად პერსპექტიული რეზერვიც გვაძლევს. ოღონდ გამომსვლელთა, განსაკუთრებით კი სპორტსახკომის ხელმძღვანელთა სიტყვაში, აშკარად გაიჟღერა მოწოდებამ თუ თხოვნამ ცალკეული სპორტსმენებისა და მწვრთნელებისადმი მეტი პასუხისმგებლობის გამოჩენის შესახებ. აღნიშნეს შემთხვევები, როცა სპორტსმენმა, ვთქვათ, თვალი ვერ მიადევნა საკუთარ წონას, ვერ გამოიჩინა საჭირო ყურადღება პირადმა მწვრთნელმა და ა. შ.

და ასე, წვეთ-წვეთობით გროვდება მიზეზი, რომელსაც ხშირად მარცხი მოაქვს ხოლმე. მარტო ჩვენი მოჭიდავეების ტალანტის ხარჯზე კი ჭირს თანამედროვე სპორტში ფონს გასვლა. მართალია, რამდენიმე მათგანი ევროპის ჩემპიონატზე არაობიექტური მსაჯობის გამო დამარცხდა, მაგრამ მათი მომზადება რომ უფრო სწორი გზით წარმართულიყო (არ გადაღლილიყვნენ, ფორსირებულად არ დაეკლოთ წონა და ა. შ.), თავის მეტოქეებს, უეჭველია, ყველას დასანახად აჯობებდნენ.

აი, ასეთი დასკვნაც გამოიტანეს კრებაზე, თუმცა, კიდევ ვიმეორებთ, ყველამ გამოთქვა რწმენა, რომ ევროპის ჩემპიონატზე გამოსვლა ჩვენი ძიუდოისტებისთვის, უბრალოდ, ერთი არაკანონზომიერი, დასანანი შემთხვევა იყო და მეტი არაფერი. მათი დიდი შესაძლებლობა კი კვლავ დიდ იმედებს გვაძლევს, ეს ითქმის, აგრეთვე, გიორგი თენაძეზეც, რომელსაც „სოვეტსკი სპორტის“ კორესპონდენტმა, თვითნებურად თუ გაუგებრობის გამო ყაულგასული მოჭიდავე უწოდა.

ნათელი იყო სპორტსაზოგადოებათა ხელმძღვანელების პოზიციაც. „აქ, ვფიქრობ, იმისთვის შევიკრიბეთ, რომ კონკრეტული საკითხები გადავწყვიტოთ, — თქვა, მაგალითად, სპორტსაზოგადოება „დინამოს“ რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარემ ჯ. მიქელაძემ, — საწვრთნელ პროცესში ჩვენ ვერ ჩავერევით, ეს თქვენი, მწვრთნელების საქმეა. ოღონდ გამოკვეთილად უნდა გვითხრათ, რა სჭირდება თითოეულ სპორტსმენს, თითოეულ მწვრთნელს, რა უმლით ხელს მზადებაში. მოკლედ, კონკრეტული მოთხოვნა გვჭირდება“...

შეხვედრის შედეგები შეაჯამა საქართველოს სპორტსახკომის თავმჯდომარემ ნუგზარ ენდელაძემ.

# ლიდერმა წააგო და... ლიდერად დარჩა

**მოულოდნელობით ალსავსე გამოდგა მოჭადრაკე ვაჟთა 50-ე რესპუბლიკური ჩემპიონატის IX ტური.**

პირველი მარცხი იწვნია ერთპიროვნულმა ლიდერმა ალექსანდრე დგებუაძემ. მას თეთრი ფიგურებით თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საინჟინრო-ეკონომიკური ფაკულტეტის სტუდენტმა, ქალაქის ორგზის ჩემპიონმა გივი გოგიჩაიშვილმა დააჭრევინა ფარ-ხმალი. ახალინდურ დაცვაში მეტოქეებმა ერთ-ერთი რთული ვარიანტი გაითამაშეს. გოგიჩაიშვილი დებიუტშივე დაეუფლა ინიციატივას, შემდეგ კი თანდათანობით გააძლიერა პოზიცია. პარტიის ბედი ორმხრივმა ცაიტნოტმა გადაწყვიტა: გოგიჩაიშვილი უფრო ზუსტად თამაშობდა და ტაქტიკური კომბინაციით გაიმარჯვა.

იანის პოპოვმა დაამარცხა ზაზა ხოფერია, ხოლო გია ბალათუროვმა — აკაკი იაშვილი.

დანარჩენი პარტიები ასე დამთავრდა: კუჭუხიძე-სიჭინავა — 1:0, კაკაბაძე-ხაბურზანია — 0:1, კეკელიძე-მანაგაძე — 0,5:0,5, ჭურღულია-შალამბერიძე 0,5:0,5. გადატანილია სუპატაშვილი-ტაბატაძის პარტია.

მიუხედავად წაგებისა, ლიდერი მაინც ლიდერად რჩება. 9 ტურის შემდეგ ალექსანდრე დგებუაძეს 6,5 ქულა აქვს, მას ქულით ჩამორჩებიან გივი გოგიჩაიშვილი, იანის პოპოვი და ზაზა ხოფერია. შემდეგ მოდიან: გია ბალათუროვი — 5(1), აკაკი იაშვილი, მიხეილ კეკელიძე, შოთა კუჭუხიძე (ყველა — თბილისი), ნუკრი მანაგაძე (ქუთაისი) — 5-5.

**ვასილ ვაშაკიძე.**

## კარტინგისტები — ანგარიშგასაწევი მეტოქეებია

**საქართველოს** კარტინგისტები ყველა რანგის ასპარეზობაზე ანგარიშგასაწევ მეტოქეებად ითვლებიან და ეს, ჩვენდა სასიხარულოდ, ტოლიატში გამართულმა საკმაოდ პრესტიჟულმა შეჯიბრებამაც დაადასტურა, სადაც ჩატარდა საკავშირო ასპარეზობა. შეჯიბრებებში მონაწილეობდა სხვადასხვა რესპუბლიკის 23 გუნდი. საქართველოს ნაკრებმა საერთო გუნდურ ჩათვლაში მეორე ადგილი დაიკავა მასპინძელთა ძლიერი კოლექტივის შემდეგ.

„პიონერის“ კლასში პირველობა არავის დაუთმო ალექსანდრე ბერუაშვილმა, „სოიუზ-3“ და „იუნიორის“ კლასებში მეორე ადგილები დაიკავეს შესაბამისად ვიქტორ გავამ და ირაკლი ქარქუზაშვილმა. მესამე ადგილები კი წილად ხვდათ გიორგი მათევოსიანს („სოიუზ-ა“) და ზურაბ ბერუაშვილს („იუნიორი“).

**ხ. ვართანიანცი.**

**ხვალიდან მთელი ერთი. თვის განმავლობაში**

**იტალიის უდიდესი სტადიონები ფეხბურთში**

**XIV მსოფლიო ჩემპიონატს უმასპინძლებენ**

ITALIA '90

# მსოფლიო ჩემპიონატების ისტორიიდან

**ჩვენი გაზეთის მკითხველს, სპორტის მოყვარულს არ ჰირდება იმის განმარტება, თუ რა არის მსოფლიო ჩემპიონატი ფეხბურთში, როგორი ინტერესით მოელის მთელი სამყარო ამ უდიდეს შეჯიბრებას და სხვა მისთანანი. მსოფლიო სპორტის ისტორიაში ორი უდიდესი შეჯიბრებაა, რომლებსაც ასეული და ასეული მილიონობით მაყურებელი და გულშემატკივარი ჰყავს: ოლიმპიური თამაშები და მსოფლიოს საფეხბურთო ჩემპიონატები.**

მსოფლიო ჩემპიონატებს დასაბამი 1930 წელს მიეცა, მაშინ მას ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტის ფრანგი ჟიულ რიმეს სახელი მიეკუთვნა. ყოველი მსოფლიო ჩემპიონატი ღირსშესანიშნავი მოვლენაა მსოფლიო ფეხბურთის განვითარებაში, ყოველ 4-წლიან მონაკვეთში სწორედ აქ იყრის თავს საერთაშორისო საფეხბურთო ელიტა, გარდა იმისა, რომ მსოფლიო ჩემპიონატებზე ვლინდება გარკვეული პერიოდის საფეხბურთო იერარქია, ვლინდებიან ჩემპიონები და პრიზიორები, აქ სათავეს იღებს ახალი საფეხბურთო მიმდინარეობანი, მსოფლიოს მოწინავე გუნდების მიერ შემუშავებული პროგრესული სათამაშო სქემები და შემდგომში ისინი სხვადასხვა ქვეყნების საფეხბურთო სკოლების საერთო კუთვნილება ხდება.

საბჭოთა კავშირი ამ დიდ საფეხბურთო მოძრაობაში მოგვიანებით ჩაება, მხოლოდ 1958 წლიდან. საბჭოთა ფეხბურთელებმა ზედიზედ 4 მსოფლიო ჩემპიონატის გადამწყვეტ ეტაპზე ითამაშეს, შემდეგ კი ზუსტად 12 წლით გამოეთიშნენ მსოფლიოს უძლიერეს საფეხბურთო გუნდებს, ვინაიდან ვერ მოიპოვეს ფინალში მონაწილეობის საგზური, ახლა კი ისინი კვლავ 24 ფინალისტის რიცხვში იმყოფებიან.

გთავაზობთ სსრ კავშირის ნაკრების მსოფლიო ჩემპიონატების ფინალებში მონაწილეობის ცხრილს წლების მიხედვით.

| წელი | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ადგ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1958 | 5 | 2 | 1 | 2 | 5-6 | 5-8 |
| 1962 | 4 | 2 | 1 | 1 | 9-7 | 5-8 |
| 1966 | 6 | 4 | 0 | 2 | 10-6 | 4 |
| 1970 | 4 | 2 | 1 | 1 | 6-2 | 5-8 |
| 1982 | 5 | 2 | 2 | 1 | 7-4 | 9-16 |
| 1986 | 4 | 2 | 1 | 1 | 12-5 | 9-16 |

საინტერესოა, ქართველ ფეხბურთელთაგან ვინ მონაწილეობდა მსოფლიო ჩემპიონატების დასკვნითი ეტაპის მატჩებში.

**1958 წელს** შვეციაში არ გამოსულა არც ერთი ქართველი ფეხბურთელი.

**1962 წელს** ჩილეში საკავშირო ნაკრების შემადგენლობაში გამოდიოდნენ ს. მეტრეველი (იგი მაშინ მოსკოვის „ტორპედოში" თამაშობდა), მ. მესხი, გ. ჩოხელი.

**1966 წელს** ინგლისში სსრ კავშირის ნაკრების შემადგენლობაში გამოდიოდნენ ა. კავაზაშვილი, მ. ხურცილავა, გ. სიჭინავა, ს. მეტრეველი.

**1970 წელს** მექსიკაში საკავშირო ნაკრებში ითამაშეს ა. კავაზაშვილმა, ქ. ასათიანმა, გ. ნოდიამ, რ. ძოძუაშვილმა, მ. ხურცილავამ.

**1982 წელს** ესპანეთში ნაკრების რიგებში ითამაშეს ქართველმა ფეხბურთელებმა თ. სულაქველიძემ, ა. ჩივაძემ, რ. შენგელიამ, ვ. დარასელიამ.

**1986 წელს** მექსიკაში ნაკრების შემადგენლობაში ქართველ ფეხბურთელებს არც ერთ შეხვედრაში არ მიუღიათ მონაწილეობა.





## მაყურებლები, მაყურებლები...

**ფეხბურთის მოყვარულები საგანგებო ინტერესს იჩენენ მსოფლიო ჩემპიონატების მიმართ. სპეციალისტები, ფეხბურთის მოყვარულები საგულდაგულოდ, სერიოზულად ემზადებიან ამ მეტად მნიშვნელოვან შეჯიბრებას, ხოლო რაც შეეხება მაყურებელს, გულშემატკივრებს, მათთვის მსოფლიო ჩემპიონატი ემოციების გამოხატვის საუკეთესო საშუალებაა.**

**ჩვენს მიერ მოყვანილი ფოტოები ესპანეთის მსოფლიო ჩემპიონატის არქივიდანაა აღებული. აი, რა ხდება ტრიბუნებზე თამაშის დროს...**

# ტელეეკრანებზე

**მსოფლიოს** XIV ჩემპიონატი პირველი იქნება, რომლის ყველა მატჩის ტელეტრანსლაციას ნახავენ ჩვენი ფეხბურთის მოყვარულები. უკვე დაზუსტებულია ცენტრალური ტელევიზიით მატჩების ტრანსლაციის ზუსტი დრო. ქვემოთ მოყვანილ ცხრილში გთავაზობთ იმ შეხვედრების განრიგს, რომლებიც ჩემპიონატის ფინალური ტურნირის პირველ ეტაპზე (ქვეჯგუფებში) გაიმართება. ჩემპიონატის შემდგომი ეტაპების ტელეტრანსლაციის განრიგს დამატებით შეგატყობინებთ.

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 08.6 | II | 20.45 | 1. | მილანი | არგენტინა — კამერუნი |
| 09.6 | I | 19.45 | 2. | ბარი | სსრ კავშირი — რუმინეთი |
| 09.6 | II | 23.45 | 3. | რომი | იტალია — ავსტრია |
| 10.6 | II | 9.15 | 4. | ბოლონია | არ. გს — კოლუმბია |
| 10.6 | II | 19.45 | 5. | ფლორენცია | აშშ — ჩეხოსლოვაკია |
| 10.6 | I | 23.45 | 6. | ტურინი | ბრაზილია — შვეცია |
| 11.6 | I | 9.35 | 7. | მილანი | გფრ — იუგოსლავია |
| 11.6 | II | 19.45 | 8. | გენუა | კოსტა-რიკა — შოტლანდია |
| 11.6 | I | 23.45 | 9. | კალიარი | ინგლისი — ირლანდია |
| 12.6 | II | 19.45 | 10. | ვერონა | ბელგია — ს. კორეა |
| 12.6 | II | 23.45 | 11. | პალერმო | ჰოლანდია — ეგვიპტე |
| 13.6 | II | 19.45 | 12. | უდინე | ურუგვაი — ესპანეთი |
| 13.6 | I | 23.45 | 13. | ნეაპოლი | არგენტინა — სსრ კავშირი |
| 14.6 | II | 19.45 | 14. | ბარი | კამერუნი — რუმინეთი |
| 14.6 | II | 23.45 | 15. | რომი | იტალია — აშშ |
| 15.6 | II | 9.20 | 16. | ბოლონია | იუგოსლავია — კოლუმბია |
| 15.6 | II | 19.45 | 17. | ფლორენცია | ავსტრია — ჩეხოსლოვაკია |
| 15.6 | II | 23.45 | 18. | მილანი | გფრ — არ. გს. |
| 16.6 | II | 19.45 | 19. | ტურინი | ბრაზილია — კოსტა-რიკა |
| 16.6 | I | 23.45 | 20. | კალიარი | ინგლისი — ჰოლანდია |
| 17.6 | II | 9.20 | 21. | გენუა | შვეცია — შოტლანდია |
| 17.6 | II | 19.45 | 22. | პალერმო | ირლანდია — ეგვიპტე |
| 17.6 | II | 23.45 | 23. | ვერონა | ბელგია — ურუგვაი |
| 18.6 | I | 11.00 | 24. | უდინე | ს. კორეა — ესპანეთი |
| 18.6 | I | 23.45 | 25. | ბარი | კამერუნი — სსრ კავშირი |
| 19.6 | I | 11.00 | 26. | ნეაპოლი | არგენტინა — რუმინეთი |
| 19.6 | II | 19.45 | 27. | მილანი | გფრ — კოლუმბია |
| 19.6 | I | 23.45 | 28. | რომი | იტალია — ჩეხოსლოვაკია |
| 20.6 | I | 11.00 | 29. | ბოლონია | იუგოსლავია — არ. გს |
| 20.6 | I | 12.00 | 30. | ფლორენცია | ავსტრია — აშშ |
| 20.6 | I | 23.45 | 31. | ტურინი | ბრაზილია — შოტლანდია |
| 21.6 | I | 11.00 | 32. | გენუა | შვეცია — კოსტა-რიკა |
| 21.6 | I | 19.45 | 33. | ვერონა | ბელგია — ესპანეთი |
| 21.6 | I | 23.45 | 34. | პალერმო | ირლანდია — ჰოლანდია |
| 22.6 | I | 11.00 | 35. | უდინე | ს. კორეა — ურუგვაი |
| 22.6 | I | 12.00 | 36. | კალიარი | ინგლისი — ეგვიპტე |

მოყვანილ ცხრილში პირველ გრაფაში ნაჩვენებია მატჩის გამართვის თარიღი, მეორეში — ცენტრალური ტელევიზიის პროგრამის ნომერი, რომელზეც იწარმოებს ტრანსლაცია, მესამეში — ტრანსლაციის დაწყების დრო (თბილისის დროით), მეოთხეში — მატჩის რიგითი ნომერი და ქალაქი, რომელშიც იგი გაიმართება, მეხუთეში — მონაწილე წყვილები.

დილის საათებში ნაჩვენები იქნება მატჩების ვიდეოჩანაწერები.

# მსაჯები მზად არიან

**გამოქვეყნდა იმ არბიტრთა სია, რომლებიც იმსაჯებენ 1990 წლის მსოფლიო საფეხბურთო ჩემპიონატის მატჩებს. სულ არბიტრთა სიაში 36 კაცია:**

**ევროპა (19)**

მიშელ ვოტრო, ჟოელ კინიო (საფრანგეთი), ემილიო სორიანო (ესპანეთი), ტულიო ლანეზე, ლუიჯი ანოლინი (იტალია), ზიგფრიდ კირშენი (გდრ), მიხალ ლისტკევიჩი (პოლონეთი), ერიკ ფრედრიქსონი (შვეცია), კურტ როტლისბერგერი (შვეიცარია), ალექსეი სპირინი (სსრ კავშირი), არონ შმიდჰუბერი (გფრ), ზორან პეტროვიჩი (იუგოსლავია), ჯორჯ კურტნი (ინგლისი), ალან სნოდი (ჩრდილოეთ ირლანდია), ჰელმუტ კოლი (ავსტრია), პეტერ მიკელსენი (დანია), მარსელ ვან ვანგენჰოვე (ბელგია), კარლოს სილვა ვალენტე (პორტუგალია), ჯორჯ სმითი (შოტლანდია).

**სამხრეთ აფრიკა (7)**

ჟოზე რამის რაიტი (ბრაზილია), კარლოს მასიელი (პარაგვაი), ხუან ლოსტაუ (არგენტინა), ერნან სილვა (ჩილე), ხუან დანიელ კარდელინო (ურუგვაი), ელიას ჟაკომე (ეკვადორი), არმანდო პერეს ხოიოსი (კოლუმბია).

**აფრიკა (3)**

ნაჯი ჯუინი (ტუნისი), მუჰამედ ანსალი (ალჟირი), ჟან-ფიდელე დირამბა (გაბონი).

**აზია (3)**

ჟემალ ალ-შარიფი (სირია), ჯასიმ მანდი (ბახრეინი), შიზუო ტაკადო (იაპონია).

**კონკაკაფ-ი (3)**

ედგარდო კოდესალ მენდესი (მექსიკა), ბერნი ულოა მორერა (კოსტა-რიკა), ვინსენტ მაურო (აშშ).

**ოკეანია (1)**

რიჩმონდ ლორენცი (ავსტრალია).

ჩემპიონატის გახსნის პირველ დღეს, 8 ივნისს, მილანში არგენტინისა და კამერუნის გუნდების შეხვედრას იმსაჯებს ფრანგი არბიტრი **მიშელ ვოტრო.**

9 ივნისს სსრ კავშირისა და რუმინეთის ფეხბურთელთა შეხვედრას ქ. ბარიში მოემსახურება ურუგვაელი არბიტრი **ხუან კარდელინო.**

# 13 ჩემპიონი და პრიზიორები...

1. 1930 წ. (ურუგვაი). ურუგვაი, არგენტინა, აშშ.
2. 1934 წ. (იტალია). იტალია, ჩეხოსლოვაკია, გერმანია.
3. 1938 წ. (საფრანგეთი). იტალია, უნგრეთი, ბრაზილია.
4. 1950 წ. (ბრაზილია). ურუგვაი, ბრაზილია, შვეცია.
5. 1954 წ. (შვეიცარია). გფრ, უნგრეთი. ავსტრია.
6. 1958 წ. (შვეცია). ბრაზილია, შვეცია, საფრანგეთი.
7. 1962 წ. (ჩილე). ბრაზილია, ჩეხოსლოვაკია, ჩილე.
8. 1966 წ. (ინგლისი). ინგლისი, გფრ, პორტუგალია.
9. 1970 წ. (მექსიკა). ბრაზილია, იტალია, გფრ.
10. 1974 წ. (გფრ). გფრ, ჰოლანდია, პოლონეთი.
11. 1978 წ. (არგენტინა). არგენტინა, ჰოლანდია, ბრაზილია.
12. 1982 წ. (ესპანეთი). იტალია, გფრ, პოლონეთი.
13. 1986 წ. (მექსიკა). არგენტინა, გფრ, საფრანგეთი.
14. 1990 წ. (იტალია). — — — —

## „ამნისტია" ურუგვაიში

**ლაპარაკია** თავისებურ საფეხბურთო „ამნისტიაზე". ურუგვაის ხელისუფლებამ გადაწყვიტა ფეხბურთში მსოფლიო ჩემპიონატის დღეებში სახელმწიფო მოსამსახურეებს ნება დართოს ადრე წავიდნენ სამუშაოდან, რათა ფეხბურთის მოყვარულებს საშუალება მიეცეთ მსოფლიო ჩემპიონატის შეხვედრათა პირდაპირ ტრანსლაციას უყურონ. ეს ცნობა გამოაქვეყნა რეიტერის სააგენტომ.

„გაითვალისწინა რა მოსახლეობის დიდი ინტერესი ჩემპიონატისადმი, — ნათქვამია დეკრეტში, — ხელისუფლებამ შესაძლოდ სცნო შეცვალოს მუშაობის გრაფიკი".

# საფეხბურთო მერიდიანებზე

● **ბრაზილიის** ნაკრების ერთ-ერთი წამყვანი თავდამსხმელი რომარიო, რომელსაც ბევრი მიმომხილველი იტალიის ჩემპიონატის მომავალ გმირად მიიჩნევს, ჰოლანდიის „ეინდჰოვენში" დარჩება. მან უარყო იტალიის, საფრანგეთისა და ესპანეთის მოწინავე კლუბების წინადადებები და 6 წლით გააგრძელა კონტრაქტი თავის ახლანდელ კლუბთან.

● **როგორც** ცნობილია, მსოფლიო ჩემპიონატის შემდეგ ბრაზილიის ნაკრების მწვრთნელი სებასტიან ლაზარონი იტალიის „ფიორენტინას" ჩაუდგება სათავეში. ფლორენციელთა ახლანდელი მწვრთნელი ფრანჩესკო გრაციანი კი „ასკოლის" ხელმძღვანელად დაინიშნა.

● **ბრაზილიის** ნაკრების ყოფილი მწვრთნელი კარლოს ალბერტო სილვა ბოლო დრომდე „სან პაულუში" მუშაობდა. ახალი სეზონიდან იგი იაპონიაში განაგრძობს მოღვაწეობას. მისი კლუბი იქნება ქვეყნის უძლიერესი გუნდი „იომიური".

● **„ქუინს პარკისა"** და ინგლისის ნაკრების მეკარე დევიდ სიმენი „არსენალში" გაიყიდა 1,3 მილიონ გირვანქა სტერლინგად. ეს თანხა სარეკორდოა მეკარეთათვის. თავის მხრივ „არსენალმა" „ლიდსს" დაუთმო თავისი მეკარე ჯონ ლუკიჩი 1 მილიონად.

● **„ანდერლეხტის"** ორმა უცხოელმა მოთამაშემ — იუგოსლაველმა მილან იანკოვიჩმა და ისლანდიელმა გუდიონსონმა განაცხადეს, რომ ტოვებენ კლუბს. მათ ნაცვლად გუნდში ითამაშებს ჰოლანდიის ნაკრების მცველი გრემ რუტიესი („მეჰელენი"). გამორიცხული არაა, რომ „ანდერლეხტმა" გამოისყიდოს თავდამსხმელი ჯონი ბოსმანიც, რომელიც ახლა „მეჰელენიდან" „ეინდჰოვენში" აპირებს გადასვლას.

● **იტალიის** „ინტერმა" გააგრძელა კონტრაქტები ორ წამყვან მოთამაშესთან: დასავლეთგერმანელი მათეუსი მილანში 1992 წლამდე დარჩება, მეკარე ძენგა კი 1994 წლამდე.

● **მას შემდეგ,** რაც არგენტინის ნაკრების მწვრთნელმა კარლოს ბილარდომ შეკრებიდან დაითხოვა ვეტერანი ხორხე ვალდანო, გუნდში გაჩნდა თავდამსხმელის ვაკანტური ადგილი, მის შესავსებად მოიწვიეს 30 წლის გაბრიელ კალდერონი („პარი სენ ჟერმენი", საფრანგეთი), რომელიც 1979 წელს მარადონასთან ერთად გახდა მსოფლიოს ჩემპიონი ახალგაზრდებში.

● **შოტლანდიის** ჩემპიონ „გლაზგო რეინჯერსის" მენეჯერი გრემ სუნესი ძალიან მაღალი აზრისაა ინგლისის ნაკრებზე. იგი თვლის, რომ ინგლისელებს აქვთ ყველა პირობა, რათა მიაღწიონ მსოფლიო ჩემპიონატის ფინალამდე. თავის თანამემამულეთაგან კი სუნესი კარგს არაფერს ელის: „ასეთი სუსტი გუნდი ჯერ არასოდეს გვყოლია. ნამდვილი ტრიუმფი იქნება მეორე ეტაპზე რომ გავიდეთ".

● **ავსტრიის** ნაკრების თავდამსხმელი, ევროპის „ვერცხლის ბუცის" მფლობელი გერჰარდ როდაქსი ამიერიდან ესპანეთის „ატლეტიკო მადრიდში" ითამაშებს.

● **მომავალი** წლიდან ავსტრიის ჩემპიონ „ტიროლის" მწვრთნელ ერნსტ ჰაპელს ახალი თანაშემწე ეყოლება. ესაა წარსულში ცნობილი თავდამსხმელი, ევროპის 1980 წლის ჩემპიონი ჰორსტ ჰრუბეში.

● **შოტლანდიის** ნაკრების მწვრთნელ ენდი როქსბურგს ახალი პრობლემა გაუჩნდა. მუხლის ოპერაცია გაიკეთა ძირითადმა მცველმა სტივ ნიკოლმა („ლივერპული"). მისი მონაწილეობა მსოფლიო პირველობაში პრაქტიკულად გამორიცხულია. გათავისუფლებულ ადგილზე პრეტენზიას აცხადებენ მაკოლი („ევერტონი") და მაკალისტერი („ლესტერი").

● **ინგლისის** ნაკრების მწვრთნელ ბობი რობსონს მოლაპარაკება აქვს ჰოლანდიის „ეინდჰოვენთან". შესაძლოა მსოფლიო პირველობის შემდეგ იგი ამ გუნდს ჩაუდგეს სათავეში. თავის მხრივ ჰოლანდიელებმა უკვე დაასრულეს წინასწარი მოლაპარაკება „მეჰელენში" მოთამაშე თანამემამულეებთან — ერვინ კუმანთან და ჯონ ბოსმანთან, რომლებიც ახალი სეზონიდან სამშობლოში დაბრუნდებიან.

● **უნგრეთის** ნაკრების ყოფილ წევრს დიერდ ბოგნარს, რომელიც წელს საფრანგეთის „ტულონში" თამაშობდა, მომავალ სეზონში ბელგიის „სტანდარდში" ვიხილავთ.

● **იტალიის** ჩემპიონმა „ნაპოლიმ" გაათავისუფლა თავდამსხმელი ანდრეა კარნევალე, რომელიც დედაქალაქის „რომაში" გადავიდა. მის ნაცვლად „რეჯინადან" გადმოიყვანეს სერია „ბ"-ს საუკეთესო ბომბარდირი სილენცი, რომელმაც წელს 20 გოლი გაიტანა. აქვე ითამაშებს „მილანის" და იტალიის ნაკრების მეკარე ჯოვანი გალიც.

**(საქ. კორ.).**

# ჩემპიონატი მთავარი მწვრთნელის თვალით

**ბათუმში დამთავრდა საქართველოს მოსწავლეთა გუნდური ჩემპიონატი ჭადრაკში. ამასთან დაკავშირებით ჩვენმა კორესპონდენტმა ინტერვიუ სთხოვა საქართველოს სახალხო განათლების სამინისტროს მთავარ მწვრთნელს, საქართველოს დამსახურებულ მწვრთნელს ხუ- ლიკო მეგრელიშვილს.**

— მოსწავლეთა ეს პირველობა ერთ-ერთი უმთავრესი ღონისძიებაა იმათგან, რომელთაც ჩვენი სამინისტრო ატარებს. იგი სამი ეტაპისაგან შედგება: იანვარსა და თებერვალში საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში გაიმართა ზონალური ტურნირები. შემდეგ გამარჯვებულებმა თავი მოიყარეს ბათუმში, გუნდური ჩემპიონატის ნახევარფინალში. აქ აჭარისა და გორის გუნდები გავიდნენ ფინალში, სადაც მათ ელოდებოდათ შარშანდელი პირველობის 6 უძლიერესი კოლექტივი.

**— ერთი სიტყვით, აპრილის ბოლო რიცხვებიდან კვლავ ბათუმში, ამჯერად უკვე ფინალურ ასპარეზობაში, თავი მოიყარა საქართველოს 8 უძლიერესმა გუნდმა. თუ შეიძლება, გვიამბეთ ბრძოლის მსვლელობაზე უფრო დაწვრილებით.**

— ყოველ ასეთ შეჯიბრებაში ბრძოლა პირველობისათვის თბილისისა და ქუთაისის გუნდებს შორის მიმდინარეობს (თითოეულ გუნდში 6 ჭაბუკი და 2 გოგონა შედის), ამასთან, ხშირად ქუთაისელები იმარჯვებენ. ამ ქალაქში ბევრი მწვრთნელი მუშაობს და საკმაოდ სისხლსავსე საჭადრაკო ცხოვრება ჩქეფს. ამჯერად ისე მოხდა, რომ ქუთაისელებმა „ხელი ვერ გამოიღეს“ და პირველი ადგილი თითქმის უბრძოლველად დაუთმეს თბილისელებს. ამის მიზეზად ნაკრების მწვრთნელები იმას ასახელებდნენ, რომ ვერ შეძლეს უძლიერესი შემადგენლობის გამოყვანა, თუმცა მეორე ადგილი მათ დიდი კონკურენციის გარეშე დაიკავეს.

**— როგორია შეჯიბრების საბოლოო შედეგები?**

— თბილისელები 45,5 ქულით ჩემპიონები გახდნენ. მათ 5 ქულით ჩამორჩნენ ქუთაისელები. აფხაზეთისა და აჭარის გუნდებმა 31-31 ქულა მოაგროვეს, დამატებითი მონაცემებით მესამე ადგილი აფხაზეთის ნაკრებს დარჩა. აქ ისიც უნდა ვთქვათ, რომ ამ გუნდის ყველა წევრი, ერთი სოხუმელის გარდა, ოჩამჩირელია და საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის რენცო ჭედიას აღზრდილი. ფოთელები 27,5 ქულით მეხუთე ადგილზე გავიდნენ, სამტრედიელები 20,5 ქულით — მეექვსეზე არიან. გორელები (15,5) და გურჯაანელები (12,5) უმაღლეს ლიგას დატოვებენ და გაისად შესარჩევი შეჯიბრებიდან დაიწყებენ ბრძოლას.

**— ვინ დატოვა კარგი შთაბეჭდილება?**

— ერთ-ერთი ჩვენი მთავარი მიზანი იყო საქართველოს ნაკრების იმ კანდიდატების შემოწმება, რომლებმაც აგვისტოში ლენინგრადში უნდა ითამაშონ მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადაზე. თუმცა შოთა კუჭუხიძემ (ქუთაისი) 5 ქულით გაიმარჯვა პირველ დაფაზე, მაგრამ მძიმედ თამაშობდა და საეჭვო პოზიციებსაც იღებდა. მეტს ველოდი გურჯაანელი ვლადიმერ ჰიკაძისაგან, რომელმაც ამავე დაფაზე 4 ქულა მოაგროვა. შეჯიბრება უფერულად წარმართა ნაკრების ერთ-ერთმა კანდიდატმა, თბილისელმა მიხეილ კეკელიძემ (4 ქულა).

აი, ვინ გაიმარჯვა დაფების მიხედვით: (კუჭუხიძეზე მე უკვე ვილაპარაკე). მეორე დაფაზე საუკეთესო შედეგი ჰქონდა ქუთაისელ ალექსანდრე ყაშაშვილს, რომელმაც 7 შესაძლებლიდან 6,5 ქულა მოაგროვა, მესამე დაფაზე ასეთივე მაღალი შედეგი ჰქონდა თბილისელ ბექა კვარაცხელიას, მეოთხე დაფაზე 6-6 ქულა მოაგროვეს თბილისელმა გიორგი ყაჭეიშვილმა და ლერი ჭედიამ (აფხაზეთი). მეხუთეზე — 6 ქულით გაიმარჯვა თბილისელმა სერგო მოვსესიანმა, მეექვსე დაფაზე კი შვიდივე პარტია მოიგო თბილისელმა ხვიჩა ბახტაძემ. ეს ჩემპიონატის აბსოლუტურად საუკეთესო შედეგი გახლავთ.

აქვე უნდა გამოითქვას ერთი შენიშვნა. ზოგჯერ მწვრთნელებს ჭაბუკთა დაფებზე გოგონები გამოჰყავთ. ცალკეულ შემთხვევებში ჩვენ ამის წინააღმდეგი არა ვართ, როცა გოგონას განსაკუთრებული სპორტული მიღწევები აქვს, მაგრამ რითი იყო გამართლებული ფოთელ მწვრთნელთა გადაწყვეტილება ჭაბუკთა ორ დაფაზე გოგონები რომ გამოიყვანეს? მათ მეტი უნდა იზრუნონ ჭაბუკთა აღზრდაზე. ეს ფაქტია და ასეთი ხელოვნური გზით ფონს ვერ გავლენ.

**— გოგონებზე რას იტყვით?**

— გოგონათა პირველ დაფაზე 5-5 ქულით გაიმარჯვა თამარ ფაჩულიამ (თბილისი), რომელიც ბოლო ტურში დამარცხდა დიანა დარჩიასთან. უნდა ითქვას, რომ დარჩია (რომელიც, როგორც მოგეხსენებათ, მსოფლიო ჩემპიონია 12 წლამდე გოგონათა შორის და ახლა 14 წლამდე ასაკის მოჭადრაკეთა შორის მსოფლიო ჩემპიონატში მონაწილეობის მისაღებად ემზადება, საკმაოდ არათანაბრად, იმპულსურად თამაშობდა, ხშირ შემთხვევაში ნაჩქარევ გადაწყვეტილებებს იღებდა, მან ორი პარტია წააგო — ფოთელ თამარ ცანავასა და ოჩამჩირელ [illegible] ძიძიგურთან, საბოლოოდ ამ დაფაზე 5 ქულით ცანავასთან ერთად მეორე-მესამე ადგილი გაიყო. ჩამოთვლილ მოჭადრაკეთა გარდა, კარგი შთაბეჭდილება დატოვა ქუთაისელმა ოლოლ ალხაზაშვილმა. მეორე დაფაზე ჩინებულად ითამაშა უდავოდ ნიჭიერმა ირინე გიორხელიძემ (ქუთაისი), რომელმაც 6,5 ქულა მოაგროვა, მთელი ერთნახევარი ქულით ჩამოიტოვა თამარ გაგულაშვილი (თბილისი) და თეა ბერაია (ფოთი).

**— როგორია თქვენი გეგმები?**

— აგვისტოში, როგორც მოგეხსენებათ, ლენინგრადში მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადა უნდა გაიმართოს, აქ ერთი დიდი სიახლეა: ყველა რესპუბლიკიდან ორი გუნდი უნდა გამოვიდეს, ე. ი. ცალ-ცალკე მოხდება ჩათვლა ჭაბუკთა და გოგონათა შორის. ეს ართულებს ამოცანას. ძველი რომაელები ამბობდნენ: „მკაცრი კანონია, მაგრამ მაინც კანონია!“ ასეა თუ ისე, ჩვენ ახლა ცალ-ცალკე უნდა მოვამზადოთ გუნდები. ამ მიზანს ემსახურება ხანგრძლივი შეკრება, რომელიც ივნის-ივლისში ბაკურიანში ჩატარდება და სადაც საბოლოოდ დავადგენთ როგორც ჭაბუკთა, ისე გოგონათა ნაკრების შემადგენლობას.



## მხოლოდ ტექნიკური შედეგები

საბჭოთა კავშირის პირველობა წყალბურთში. გადასასვლელი ტურნირი II ტურის მატჩები

3 ივნისი

„დინამო“ (თბილისი) — „სპარტაკი“ (ვოლგოგრადი) — 6:6
„დინამო“ (ალმა-ათა) — „სინთეზი“ (ყაზანი) — 11:9
კასპიის წითელდროშოვანი ფლოტილია (ბაქო) — უმაღლესი სპორტული დაოსტატების სკოლა (მინსკი) — 9:7.

4 ივნისი

„დინამო“ (ალმა-ათა) — შზწფ 6:5
„სინთეზი“ — უსდს — 7:12
„სპარტაკი“ — კწფ — 8:7

5 ივნისი

„სპარტაკი“ — უსდს 10:8
შზწფ — „სინთეზი“ — 11:6
„დინამო“ (თბილისი) „დინამო“ (ალმა-ათა) 9:9

## ინფორმაცია

**სარაევო.** იუნიორ ძალოსანთა მსოფლიო ჩემპიონატში ხანგრძლივი შესვენების შემდეგ გუნდური გამარჯვება კვლავ სსრ კავშირის წარმომადგენლებმა მოიპოვეს. მათ წილად ხვდათ 14 ოქროს, 12 ვერცხლისა და 3 ბრინჯაოს მედალი.

## „სპორტპროგნოზი“

22-ე ტირაჟის შედეგები

**(2—4 ივნისი)**

1—1, 2—1, 3—1, 4—X, 5—X, 6—X, 7—1, 8—X, 9—1, 10—1, 11—1, 12—1, 13—1.

**შენიშვნა:** პირველი ციფრი წყვილის ნომერს აღნიშნავს, მეორე — შედეგს.

# პროფესიული კალათბურთის ამბები

**ნიუ-იორკი.** ამერიკის პროფესიული კალათბურთის ლიგის — ნბა-ს ჩემპიონატის ფინალში ერთმანეთს შეხვდებიან „დეტროიტ პისტონსი“, რომელიც ლიგის ჩემპიონად ითვლება და „სპორტლენ ტრეილ ბლეიზერსი“. პირველი მატჩი დეტროიტში უკვე გაიმართა. შეგახსენებთ, რომ მეტოქეებს „პლეი ოფის“ არც ერთი მატჩი შინ არ წაუგიათ.

**ლოს ანჯელესი.** სეზონის შედეგების გათვალისწინებით ნბა-ს ლიგის ყველაზე სასარგებლო კალათბურთელად მიჩნეულია „ლოს-ანჯელეს ლეიკერსის“ მოთამაშე „მეჯიკ“ ჯონსონი. ამ საპატიო ტიტულს ჯონსონი ბოლო ოთხი წლის მანძილზე მესამედ იმსახურებს. მან პირველი ადგილი დაიკავა გამოკითხვაში, რომელშიც 92 ჟურნალისტი მონაწილეობდა. ჯონსონმა დააგროვა 636 ქულა. მას 22 ქულით ჩამორჩა ჩარლზ ბერკლი („ფილადელფია-76“) და 65 ქულით — მაიკლ ჯორდანი („ჩიკაგო ბულსი“). ნბა-ს ლიგის საუკეთესო მწვრთნელად „ლოს ანჯელეს ლეიკერსის“ დამრიგებელი პეტ რილი აღიარეს.

**რომი.** ამერიკელი პროფესიული კალათბურთელი დენი ფერი, რომელიც ერთ სეზონს იტალიის „მესაჯეროში“ თამაშობდა, შინ ბრუნდება. უცხოეთში გამგზავრებამდე 207 სანტიმეტრის სიმაღლის ფერი ამერიკის სტუდენტთა კალათბურთის ერთ-ერთი საუკეთესო ცენტრალური თავდამსხმელი იყო. ამიერიდან იგი ითამაშებს „კლივლენდ კავალიერსში“.

**ბუენოს-აირესი.** სამხრეთ ამერიკის ჩემპიონი იუნიორთა შორის გახდა არგენტინის ნაკრები, რომელმაც ფინალური შეხვედრა მოუგო ბრაზილიის გუნდს — 92:87. ურუგვაელებმა კი გადამწყვეტ შეხვედრაში ვენესუელის ნაკრებს აჯობეს — 113:102 და ბრინჯაოს მედლებს დაეპატრონნენ.

„სპორტპროგნოზი“ 24-ე ტირაჟის პროგრამა (15-17 ივნისი)

მსოფლიო ჩემპიონატი ფეხბურთში

| | | | პროგნოზი | | |
|---|---|---|---|---|---|
| 1. | ავსტრია — ჩეხოსლოვაკია | 15.VI | 20 | 70 | 10 |
| 2. | შვეცია — შოტლანდია | 16.VI | 80 | 10 | 10 |
| 3. | ინგლისი — ჰოლანდია | 16.VI | 10 | 70 | 20 |
| 4. | ბელგია — ურუგვაი | 17.VI | 20 | 70 | 10 |
| 5. | სამხრეთ კორეა — ესპანეთი | 17.VI | 10 | 70 | 20 |
| 6. | ირლანდია — ეგვიპტე | 17.VI | 30 | 60 | 10 |
| | სსრ კავშირის ჩემპიონატი ფეხბურთში (პირველი ლიგა) | | | | |
| 7. | „ტავრია“ (სიმფეროპოლი) — „ფაკელი“ (ვორონეჟი) | 17.VI | 70 | 20 | 10 |
| 8. | „ყუბანი“ (კრასნოდარი) — „მეტალურგი“ (ზაპოროჟიე) | 17.VI | 30 | 60 | 10 |
| 9. | „დინამო“ (სოხუმი) — „ნისტრუ“ (კიშინიოვი) | 17.VI | 40 | 40 | 20 |
| 10. | „გეოლოგი“ (ტიუმენი) — „კუზბასი“ (კემეროვო) | 17.VI | 30 | 60 | 10 |
| 11. | „შინიკი“ (იაროსლავლი) — „ლოკომოტივი“ (მოსკოვი) | 17.VI | 10 | 80 | 10 |
| 12. | „სპარტაკი“ (ვლადიკავკაზი) — „კაირატი“ (ალმა-ათა) | 17.VI | 30 | 50 | 20 |
| 13. | „კოტაიკი“ (აბოვიანი) — „ფახთაქორი“ (ტაშკენტი) | 17.VI | 20 | 70 | 10 |

## საფეხბურთო თემაზე




შენ რა, ჩემი ჩექმა არ მოგწონს?




უსიტყვოდ...

ვახტანგ კუციას ნახატები.

# მოახლოვდა ნახევარფინალები

**პარიზი.** ჩოგბურთში საფრანგეთის ღია ჩემპიონატის მონაწილენი ნახევარფინალების ზღურბლს მიადგნენ. უძლიერესთა კვარტეტში თამაშის უფლება მოიპოვეს დასავლეთგერმანელმა შტეფი გრაფმა (მეოთხედფინალში დაამარცხა ესპანელი კონჩიტა მარტინესი — 6:1, 6:3). იუგოსლაველმა მონიკა სელეშმა (აჯობა შვეიცარიელ მანუელა მალეევას — 3:6, 6:1, 7:5) და ჩეხოსლოვაკელმა იანა ნოვოტნამ (მოუგო ბულგარელ კატერინა მალეევას — 4:6, 6:2, 6:4).

ვაჟთა ტურნირის ცენტრალური შეხვედრა ამერიკელი ჩოგბურთელების, საფრანგეთის შარშანდელი ჩემპიონის მაიკლ ჩანგისა და ანდრე აგასის ორთაბრძოლა იყო. აგასიმ გაიმარჯვა (6:2, 6:1, 4:6, 6:2) და დაიბევა ერთ-ერთი ადგილი ნახევარფინალში. მეორე ნახევარფინალისტი გახდა შვედი იონას სვენსონი, რომელმაც ტურნირიდან გამოთიშა ფრანგი ანრი ლეკონტი — 3:6, 7:5, 6:3, 6:4.

ქალთა წყვილების ტურნირში წარმატებით ჩაატარეს სასტარტო შეხვედრები თბილისელმა ლეილა მესხმა და კიეველმა ნატალია მედვედევამ. შემდეგ კი მეოთხე წრეში გასასვლელად იბრძოდნენ, მაგრამ დამარცხდნენ მერსედეს პასთან (არგენტინა) და არანტა სანჩესთან (ესპანეთი) — 4:6, 3:6.

რედაქტორი
თ. გაჩეჩილაძე.

**ა. წ. 7 ივნისიდან სპორტკომპლექს „ბურევესტნიკის“ ცენტრალური დარბაზი და საცურაო აუზი იწვევს მინიფეხბურთისა და ცურვის შესწავლის მსურველებს სპორტულ-გამაჯანსაღებელ ჯგუფებში სამეცადინოდ. ჯგუფები იმუშავებენ ყოველ დღე 7-დან 21 საათამდე.**

ბავშვები ცურვის შემსწავლელ ჯგუფებში მიიღებიან მხოლოდ 6 წლის ასაკიდან.

**დირექცია.**

„ლელოს“ დღევანდელ ნომერზე მორიგეობდა ბ. ქორქია. კორექტორები ლ. სარალიძე და ქ. ქავთარაძე.

**ჩვენი მისამართი:**
**წერილებისთვის — 380096,**
თბილისი, მ. კოსტავას ქ. 14,
**დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“.**

**რედაქციის ტელეფონები:**
**წერილების განყოფილება — 93-97-55,**
**სამდივნო — 93-97-52,**
**ინფორმაციის განყოფილება — 93-97-58,**
**„მერანი“ — 93-97-26, „მართვე“ — 93-97-27.**

**ჩვენი ინდექსი 66435**

**საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. 380096, თბილისი, მ. კოსტავას ქ. 14, იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში: ხოშარაულის, 29.**

ხელნაწერი ავტორებს არ უბრუნდებათ.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 უე 08 779